ანტიკორუფციული კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვის გლობალური პოლიტიკა

პოლიტიკის მიმოხილვა

ეს პოლიტიკა ხაზს უსვამს PepsiCo-ს ვალდებულებას, იმოქმედოს ეთიკურად და პასუხისმგებლობით ყველა საქმიანი ურთიერთობისას, მკაფიო ჩარჩოს ფარგლებში, რომელიც:

- კრძალავს როგორც საჯარო სექტორის, ისე კომერციულ მექრთამეობას
- აკონტროლებს კორუფციის წინააღმდეგ მიმართული სათანადო გულისხმიერების პროცესების შესრულებას მესამე მხარეების მიმართ
- განმარტავს წესებს, რომლებიც უნდა იქნეს დაცული საჩუქრებთან, სადილებთან, მოგზაურობასა და გართობასთან დაკავშირებით, როცა საქმე სამთავრობო მოხელეებს ეხება
- ასახავს შემოწირულების, სპონსორობისა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) საქმიანობების მოთხოვნებს მთავრობასთან ურთიერთქმედების კუთხით
- ხაზს უსვამს ზუსტი ბუღალტრული აღრიცხვების წარმოების მნიშვნელობას PepsiCo-ს ყველა გარიგებისთვის

PepsiCo-ს **ანტიკორუფციული კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვის გლობალური პოლიტიკის ხშირად დასმული კითხვები** მოიცავს უფრო დეტალურ მითითებებს თითოეული ძირითადი საკითხის შესახებ. ხშირად დასმული კითხვები შეგიძლიათ იხილოთ აქ და კანონებთან შესაბამისობისა და ეთიკის მთავარ გვერდზე, შემდეგ მისამართზე: myPepsiCo.com (C&E-ის მთავარი გვერდი).

ვინ არის სამთავრობო მოხელე?

- მთავრობაში დასაქმებული ყველა ადამიანი, მათ შორის, მარეგულირებელი ორგანოების, დეპარტამენტების, სამინისტროების და სხვა საჯარო ორგანოების (მაგალითად, უნივერსიტეტები) თანამშრომლები, საჯარო მოხელეები, მაგალითად, მებაჟეები, კლერკები და ინსპექტორები
- პოლიტიკური თანამდებობის ნებისმიერი კანდიდატი (მაშინაც კი, თუ მას არასდროს დაუკავებია პოლიტიკური თანამდებობა)
- ნებისმიერი პოლიტიკური პარტია ან პოლიტიკური პარტიის თანამდებობის პირი
- მთავრობის ნებისმიერ დონეზე არჩეული მოხელეები, მათ შორის, მერები, რწმუნებულები და მუნიციპალური საბჭოს წევრები
- საჯარო საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, როგორიცაა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და მსოფლიო ბანკი
- სამართალდამცავი ორგანოების/პოლიციის და ჯარის წევრები
- სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოების (მაგალითად, სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული რკინიგზა, ავიახაზები, საავადმყოფოები და ლაბორატორიები, ბენზინგასამართი სადგურები და ციხეები) თანამშრომლები
- სამეფო ოჯახების წევრები
- საჯარო საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაციის თანამშრომლები
- რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილის მეუღლეები ან ოჯახის წევრები

პოლიტიკის გავრცელება

პოლიტიკა ვრცელდება PepsiCo-ს ყველა პარტნიორზე. ამ პოლიტიკის მიზნებიდან გამომდინარე, PepsiCo-ს პარტნიორებში მოიაზრება:

- PepsiCo-ს ყველა პარტნიორი მსოფლიო მასშტაბით (მათ შორის ჩვენი მთლიანად საკუთრებაში არსებული კომპანიების თანამშრომლები)
- PepsiCo-ს დირექტორთა საბჭოს წევრები, როცა ისინი მოქმედებენ დირექტორის უფლებამოსილების ფარგლებში
- ნებისმიერი ერთობლივი საწარმოსა ან შვილობილი კომპანიის თანამშრომლები, წარმომადგენლები და დირექტორები, რომლებზეც PepsiCo-ს აქვს ადმინისტრაციული კონტროლი ან საკონტროლო პაკეტი (მაგ., კონსოლიდირებული შვილობილი კომპანიები). როდესაც PepsiCo ერთობლივ საწარმოში არაკონტროლირებად აქციონერს წარმოადგენს PepsiCo-ს ბრენდირებული საკვების ან სასმელის პროდუქტის გაყიდვის და დისტრიბუციისთვის (მაგ., Bottlers), ერთობლივი საწარმო უნდა იცნობდეს PepsiCo-ს პოლიტიკას და მას ხელს უნდა უწყობდნენ, რომ საქმიანობის დროს გამოიყენოს მსგავსი სტანდარტი

წინამდებარე პოლიტიკაში შემავალი დებულებები ასევე ვრცელდება, *შესაბამისობის მიხედვით*, ყველა მესამე მხარეზე, რომლებიც ექვემდებარებიან PepsiCo-ს მიმწოდებლის ქცევის კოდექსს. PepsiCo-ს პარტნიორები, რომლებიც ქვეკონტრაქტორებს მომსახურებას უწევენ, პასუხისმგებელნი არიან პოლიტიკის მოთხოვნების გაცნობაზე მაქსიმალურად ადგილობრივი კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში.

1.0 ქრთამი და მასტიმულირებელი გადახდები

PepsiCo-ს არცერთ პარტნიორს არ აქვს ქრთამის ან მასტიმულირებელი გადახდის შეთავაზების უფლება. PepsiCo კრძალავს მასტიმულირებელ გადახდებს და ასეთი გადახდები ამ პოლიტიკის დარღვევას წარმოადგენს მაშინაც კი, როცა ისინი კანონით ნებადართულია. შესაბამისად, წინამდებარე პოლიტიკით გათვალისწინებული ყველა მითითება ქრთამის შესახებ ასევე მოიცავს მასტიმულირებელ გადახდას.

PepsiCo-სთან დაკავშირებულმა მხარეებმა არასდროს არ უნდა გადაიხადონ ქრთამი გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ქრთამის გადახდაზე უარის თქმა პირდაპირ უქმნის საფრთხეს მათ ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას. საშიში სიტუაციის თავიდან ასარიდებლად გადახდილი ყველა ქრთამი და ქრთამის ყველა მოთხოვნა (მიუხედავად იმისა, ქრთამის გადახდა რეალურად შედგა თუ არა), დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს კანონებთან შესაბამისობისა და ეთიკის განყოფილების ოფიცერს ან ადგილობრივ იურიდიულ განყოფილებას. როგორც განხილულია ქვემოთ მოცემულ **ნაწილში 5.0**, ყველა გადახდა ზუსტად უნდა აღირიცხოს.

რა არის ქრთამი?

ქრთამი არის ნებისმიერი გადახდა, **ან გადახდის შეთავაზება, მატერიალური ღირებულების ნებისმიერი საგანი** მთავრობის მაღალჩინოსნის ან კერძო თუ კომერციული სექტორის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირისთვის, თუ ეს გადახდა მიზნად ისახავს ადრესატის სტიმულირებას საკუთარი პოზიციის ბოროტად გამოყენებისთვის, ან არასამართლიანი ბიზნეს-უპირატესობის მინიჭებისთვის

რა არის მატერიალური ღირებულების ნებისმიერი საგანი?

მატერიალური ღირებულების ნებისმიერი საგანი შეიძლება იყოს ნაღდი ფული, ნაღდი ფულის ეკვივალენტები, როგორიცაა სასაჩუქრე ბარათები, რომელთა განაღდებაც შესაძლებელია პროდუქტების შესაძენად ან ნაღდი ფულის მისაღებად ვაუჩერები, საჩუქრები, გამასპინძლება, სადილი, საქონელი, მომსახურება ან სავაჭრო საქონელი, ღონისძიების ბილეთები, საცალო გაყიდვის სერტიფიკატები, გართობა, სამგზავრო პრივილეგიები, აგარაკებით, ავიატარიფებით ან საცხოვრებლებით სარგებლობა, სპეციალური სარგებელი, როგორიცაა მეგობრებისა და ახლობლების განათლების ან დასაქმების შესაძლებლობები, ოფციონები აქციებზე, შემოწირულობები განსაზღვრულ საქველმოქმედო ორგანიზაციებში, ფასდაკლებები, პირადი მომსახურებები, სესხები, თანამონაწილე სესხის აღების დროს, ან სამომავლო დასაქმების პირობა

2.0 მესამე მხარეებთან დაკავშირებული მექრთამეობის რისკები

PepsiCo შეიძლება იყოს პასუხისმგებელი მესამე მხარეების საქმიანობებზე, რომლებიც PepsiCo-ს სახელით სთავაზობენ ან უხდიან ქრთამს სამთავრობო მოხელეებს. PepsiCo-ს მესამე მხარეების საშუალებით ქრთამების გაცემა აკრძალულია. ამ პოლიტიკის დარღვევაა ასევე გამაფრთხილებელი ნიშნების უგულებელყოფა, რომლის მიხედვითაც, მესამე მხარის მოქმედებებმა შეიძლება გამოიწვიოს ქრთამის მიცემა ან შეთავაზება.

რა არის მასტიმულირებელი გადახდა?

მასტიმულირებელი გადახდა არის მთავრობის მაღალჩინოსნის მიმართ განხორციელებული გადახდა, არადისკრეციული მოქმედებების ან მომსახურებების დასაჩქარებლად, როგორიცაა, პოლიციის დაცვის ან საფოსტო მომსახურების უზრუნველყოფა, ვიზის დამუშავება, ნებართვის ან სალიცენზიო განაცხადები, საქონლის განბაჟება ან კომუნალური მომსახურების უზრუნველყოფა, როგორიცაა სატელეფონო მომსახურება, წყალი და ელექტროენერგია; **PepsiCo-ში ისინი დაუშვებელია**

მესამე მხარის სამართლებრივი სტატუსის შეფასება (TPDD)

PepsiCo-ს რისკების საფუძველზე შედგენილი ანტიკორუფციული სათანადო გულისხმიერების პროგრამა აქვს, რომელიც ცნობილია მესამე მხარეების სამართლებრივი სტატუსის შემოწმების (TPDD) სახელით. დეტალური ინფორმაცია TPDD-ის შესახებ, მათ შორის, TPDD-ის ხუთნაბიჯიანი პროცესის განმარტება შეგიძლიათ, იხილოთ **PepsiCo-ს TPDD-ის პროცესის მიმოხილვაში,** რომელიც ხელმისაწვდომია აქ და C&E-ს მთავარ გვერდზე ან მეტი ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით გლობალური კანონმდებლობის დაცვის და ეთიკის განყოფილებას.

რა არის მესამე მხარე?

წინამდებარე პოლიტიკის თანახმად, მესამე მხარე არის ნებისმიერი იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელსაც PepsiCo დაიქირავებს, როგორიცაა მომწოდებლები, აგენტები, კონსულტანტები, მოვაჭრეები ან მომსახურების პროვაიდერები. დისტრიბუტორები, რომლებიც PepsiCo-სგან ყიდულობენ პროდუქციას შეთანხმებულ ფასებად, იღებენ სამართლებრივ სტატუსს და ყიდიან საბოლოო მომხმარებლებზე PepsiCo-სთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ასევე ითვლებიან მესამე მხარეებად

შენიშვნა: PepsiCo-ს არცერთ პარტნიორს არ აქვს უფლება, ჩართოს მესამე მხარე, სანამ არ დასრულდება ანტიკორუფციული სტატუსის შემოწმების სავალდებულო პროცესები. PepsiCo-სთან დაკავშირებულ მხარეებს მოეთხოვებათ, მოვაჭრესთან გარიგების დროს წარმოადგინონ დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც მიუთითებს მოქმედი TPDD-ის წარმატებით დასრულებაზე.

3.0 საჩუქრები, სადილები, მოგზაურობა და გართობა სამთავრობო მოხელეებისთვის*

კლიენტებისთვის, მომწოდებლებისთვის ან სხვა შესაძე მხარეებისთვის განკუთვნილ ან მათგან მისაღებ ბიზნეს-საჩუქრებთან დაკავშირებით დეტალური მოთხოვნების გასაგებად შესახებ ინფორმაციის მისაღებად იხილეთ გლობალური **წესები ბიზნეს-საჩუქრების შესახებ.*

საჩუქრებს, სადილებს, მოგზაურობასა და გართობას შეუძლია, არასწორი გავლენა მოახდინოს სამთავრობო მოხელეებზე. აქედან გამომდინარე, PepsiCo-სთან დაკავშირებულმა მხარეებმა, ზოგადად, თავი უნდა შეიკავონ სამთავრობო მოხელეებისადმი საჩუქრების გადაცემისგან ან გამასპინძლებისგან. თუმცა, განსაკუთრებულ შემთხვევებში დასაშვებია გონივრულ ფარგლებში საჩუქრის გადაცემა ან სტუმართმოყვარეობის გამოჩენა სამთავრობო მოხელის ჩართულობით, თუ შემდეგი პირობები შესრულდება:

(1) ხარჯი აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ მინიმალურ მოთხოვნებს; და

(2) PepsiCo-სთან დაკავშირებული მხარე მიიღებს **წინასწარ წერილობით დასტურს კანონმდებლობასთან შესაბამისობისა და ეთიკის განყოფილების ოფიცრისგან ან ადგილობრივი იურიდიული განყოფილებისგან**

მოთხოვნების მინიმუმი ხარჯებისთვის, რომლებიც ეხება სამთავრობო მოხელეებს[1]

სამთავრობო მოხელისთვის საჩუქრის ან გამასპინძლების შეთავაზებამდე დარწმუნდით, რომ სრულდება მოთხოვნების მინიმუმი:

- გაცემულია კეთილსინდისიერად, სანაცვლო სარგებლის, არასათანადო პრივილეგიის ან ბიზნეს უპირატესობის მიღების მოლოდინის გარეშე
- არის გონივრული* და ჩვეულებისამებრ მიღებული, რაც ნიშნავს იმას, რომ შეესაბამება პროფესიული ეთიკის საყოველთაოდ მიღებულ სტანდარტებს
- გაცემულია ღიად და გამჭვირვალედ
- გაცემულია არც თუ ისე ხშირად და არ ტოვებს უადგილობის შთაბეჭდილებას
- ნებადართულია ადგილობრივი კანონებისა და დებულებების თანახმად

* გამასპინძლებისთვის გონივრული ხარჯის განსაზღვრისას გაითვალისწინეთ გლობალური განაკვეთის ზღვარი, რომელიც მოცემულია **PepsiCo-ს მოგზაურობისა და გართობის გლობალური პოლიტიკის 4.5.1 პუნქტსა და დანართებში**.

---

[1] ცალკეული ნებართვები, რომლებიც ეხება კამპანიის დაფინანსებას, მთავრობის ეთიკას, ლობირებას და გამჟღავნების კანონებს, შეიძლება საჭირო გახდეს, რადგან კონკრეტული ქვეყნის კანონები და რეგულაციები შეიძლება აწესებდეს შეზღუდვებს და გამონაკლისებს, რომლებიც განსხვავდება წინამდებარე პოლიტიკისგან.

სამთავრობო მოხელეებისთვის განკუთვნილი ნებისმიერი საჩუქარი ასევე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ *დამატებით* კრიტერიუმებს:	**სამთავრობო მოხელის ნებისმიერი გამასპინძლება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ *დამატებით* კრიტერიუმებს:**
• უნდა იყოს ნომინალური ღირებულების (ჩვეულებრივ, 100,00 აშშ დოლარზე ნაკლები)	• უნდა ჰქონდეს კეთილსინდისიერი/დასაბუთებული ბიზნეს-მიზანი
• გაიცეს PepsiCo-ს და არა რომელიმე ფიზიკური პირის სახელით	• იყოს უშუალოდ დაკავშირებული ან ასოცირდებოდეს PepsiCo-ს ბიზნესის აქტიურ საქმიანობასთან

წინასწარი წერილობითი თანხმობა

მთავრობის მაღალჩინოსნებისთვის საჩუქრის, სადილის, მოგზაურობისა და გართობისთვის წინასწარი თანხმობის მოთხოვნის წარდგენა უნდა მოხდეს ონლაინ-ფორმის (წინასწარი თანხმობის ფორმა) შევსებით, რომელიც ხელმისაწვდომია აქ ან კანონმდებლობის დაცვისა და ეთიკის (C&E) მთავარ გვერდზე.

წინასწარი თანხმობის მოთხოვნის გამონაკლისები

მოქმედი ადგილობრივი კანონებისა და რეგულაციების მიხედვით, წინასწარი თანხმობა შეიძლება აუცილებელი არ იყოს მთავრობის მაღალჩინოსნებთან დაკავშირებული ხარჯებისთვის **მხოლოდ** შემდეგ გამონაკლის შემთხვევებში:

- PepsiCo-ს ლოგოს გამოსახულებით (მაგალითად, ლოგოებიანი გოლფის ბურთები, მაისურები ან მსგავსი ნივთები) სარეკლამო ან სააქციო ნივთების მიცემა (ან სახელმწიფო სტრუქტურისთვის,

შემოწირულობა, *იხილეთ* ქვემოთ პუნქტი 4.0), ღირებულებით 100,00 აშშ დოლარის ოდენობით ან ნაკლები მთავრობის წარმომადგენელზე (არ უნდა აღემატებოდეს 200,00 აშშ დოლარს ყოველწლიურად მთავრობის ოფიციალურ პირზე, ხოლო მთავრობის ერთეულთან მიმართებაში, არაუმეტეს 1 000,00 აშშ დოლარი წელიწადში)

- უმნიშვნელო გამასპინძლება სამთავრობო მოხელეებისადმი, როგორიცაა სენდვიჩი, სასმელი, წასახემსებელი და ა.შ., PepsiCo-ს ობიექტზე თუ მის ფარგლებს გარეთ, რომლის სრული ღირებულება 10,00 აშშ დოლარს შეადგენს, იმდენად, რამდენადაც გამასპინძლება ხდება PepsiCo-ს ბიზნესის აქტიურ საქმიანობასთან დაკავშირებით

რა არის სახელმწიფო სტრუქტურა?

- ნებისმიერი სამთავრობო, მარეგულირებელი სააგენტოები, დეპარტამენტები ან სამინისტროები, როგორიცაა უსაფრთხოების ან ჯანდაცვის, საგადასახადო, ლიცენზირების ან საბაჟო სააგენტოები, პოლიციის ან სახანძრო დეპარტამენტები და ჯარი;
- ნებისმიერი სამთავრობო ორგანო ან სახელმწიფოს *მფლობელობაში* მყოფი ორგანიზაცია (SOE), როგორიცაა საჯარო უნივერსიტეტები, ლაბორატორიები, სატელევიზიო არხები ან საავადმყოფოები;
- სახელმწიფოს *კონტროლქვეშ მყოფი* ნებისმიერი კომერციული საწარმო მაშინაც კი, როცა მათზე არ აქვთ საკონტროლო პაკეტი, მაგალითად, აქვთ მინორიტარული პაკეტი საჯარო ავიახაზებში ან კომუნალური მომსახურების მომწოდებელ კომპანიებში, რომლებსაც მთავრობა მართავს;
- საჯარო საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო შრომითი ორგანიზაციები ან საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაციები
- პოლიტიკური პარტიები

არცერთი ამგვარი გამონაკლისი არ იძლევა ხელახალი/განმეორებადი გამასპინძლების ნებართვას სამთავრობო მოხელისადმი, თუნდაც 10,00 აშშ დოლარის ან ნაკლების ფარგლებში, თითოეულ ჯერზე, PepsiCo-ს რომელიმე წყაროსგან.

ანაზღაურების დოკუმენტაცია

სამთავრობო მოხელისთვის გადაცემული მატერიალური ღირებულების მქონე ნებისმიერი რამის ანაზღაურების მოთხოვნისას, PepsiCo-სთან დაკავშირებულმა მხარეებმა თავიანთ ანაზღაურების ანგარიშებში ნათლად უნდა მიუთითონ სამთავრობო მოხელის სახელი, თანამდებობა, სამთავრობო აფილაცია და ხარჯების დანიშნულება, ასევე უნდა წარმოადგინონ დანახარჯის ქვითარი, ღირებულების მიუხედავად. ამასთან ერთად, წარდგენილ უნდა იქნეს წერილობითი წინასწარი თანხმობა, რომლითაც ნებადართულია ასეთი ხარჯები. PepsiCo-სთან დაკავშირებულმა მხარეებმა უნდა აირჩიონ შესაბამისი ხარჯის კატეგორია „სამთავრობო მოხელე“, თუ ის ხელმისაწვდომია ხარჯების ანგარიშგების ადგილობრივ სისტემაში (მაგ., Concur).

PepsiCo-ს არცერთ მენეჯერს არ აქვს წინაწარი წერილობითი თანხმობის საბუთის გარეშე მისი ხელქვეითის ხარჯების ანაზღაურებაზე თანხმობის გაცემის უფლება, თუ ეს ხარჯები სამთავრობო მოხელესთანაა დაკავშირებული. ანაზღაურების სანქცირებამდე PepsiCo-ს მენეჯერებმა წინასწარი თანხმობა უნდა დაადასტურონ.

4.0 შემოწირულობები, სპონსორობა, კორპორატიული ღონისძიებები და CSR აქტივობები სამთავრობო უწყებებისთვის ან მათთან დაკავშირებული სამთავრობო მოხელეებისთვის

სამთავრობო მოხელისთვის უშუალოდ ან არაპირდაპირი გზით განხორციელებული საქველმოქმედო შემოწირულობები ან სპონსორობა ყოველთვის დაუშვებელია. თუმცა, სახელმწიფო დაწესებულებისთვის ან სამთავრობო მოხელესთან *დაკავშირებით* შემოწირულობის ან სპონსორობის განხორციელება უნდა მოხდეს ცალკეულ განსაკუთრებულ შემთხვევებში. ამ პოლიტიკის მიზნებისათვის, შემოწირულობის ან სპონსორობის მიმღები მიიჩნევა სამთავრობო მოხელესთან „დაკავშირებულად“, თუ ცნობილია, რომ მიმღებ დაწესებულებას ფლობს, მართავს ან უშუალოდ აკონტროლებს სამთავრობო მოხელე, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, როცა სამთავრობო მოხელე დირექტორთა საბჭოს წევრია.

ყველა შემოწირულობა უნდა გაიცეს მხოლოდ წმინდა საქველმოქმედო დანიშნულებით, რაც მიზნად არ უნდა ისახავდეს კონკრეტულ ბიზნეს-გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენას. ყველა სპონსორობა ლეგიტიმური ბიზნეს-ინტერესების წასახალისებლად უნდა განხორციელდეს.

რადგან კორპორატიული ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს მთავრობის ოფიციალურ პირებს და კორპორატიული სოციალურ პასუხისმგებლობასთან (CSR) დაკავშირებული საქმიანობები ხშირად მოიცავს ურთიერთთანამშრომლობას ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან, წინამდებარე პოლიტიკა ასევე მოიცავს ნებისმიერ CSR ინიციატივას, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო დაწესებულებასთან ან ეხება სამთავრობო მოხელეს. თუმცა, ეს პოლიტიკა არ ეხება PepsiCo-ს მიერ განხორციელებულ საქველმოქმედო შემოწირულობებს, სპონსორობას, კორპორატიულ ღონისძიებებს ან CSR-ის საქმიანობებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან ან არასამთავრობო მოხელესთან მიმართებით. ასეთ შემთხვევებში, ასეთი აქტივობების შესახებ დეტალური მოთხოვნებისთვის იხილეთ **გლობალური შემოწირულობების პოლიტიკა** ან **გლობალური ღონისძიებებისა და სპონსორობის პოლიტიკა**.

რა არის შემოწირულობა?

- შემოწირულობები მოიცავს ყოველივე ღირებულს, მათ შორის ფულადი სახსრების, პროდუქტის ან კორპორატიული რესურსების (მათ შორის პერსონალის დროის) შემოწირულობას, რისი მიცემაც ხდება PepsiCo-ს სახელით, კეთილგანწყობის და ქველმოქმედების ხელშესაწყობად, მათ შორის, ფინანსურ მხარდაჭერას, პროდუქტებს, პერსონალურ დროს და მოწყობილობას ან სხვა ფიზიკურ აქტივებს

რა არის სპონსორობა?

- შეთანხმება, რომელშიც PepsiCo იხდის კონკრეტულ ორგანიზაციასთან, პროექტთან, ღონისძიებასთან ან პროგრამის დასაკავშირებლად ან მხარდასაჭერად

რა არის კორპორატიული ღონისძიება?

- შეხვედრა, კონფერენცია, ტრენინგი ან სხვა ბიზნესთან დაკავშირებული შეკრება, რომელიც **ორგანიზებულია ან რომელსაც მასპინძლობს PepsiCo** მის ობიექტებში ან მის ფარგლებს გარეთ, მათ შორის, მისი თანამშრომლების და/ან გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

რა არის CSR აქტივობა?

- საზოგადოებრივი ინვესტიცია, სადაც PepsiCo მონაწილეობს საზოგადოებისა და გარემოს გაუმჯობესებაში, PepsiCo-ს ბრენდის პოზიტიური იმიჯის პოპულარიზაციის პარალელურად

წინასწარი თანხმობის მოთხოვნა

თუ შემოწირულობა, სპონსორობა, კორპორატიული ღონისძიება ან CSR-ის საქმიანობა ეხება სახელმწიფო დაწესებულებას ან უკავშირდება სამთავრობო მოხელეს და *ჯერჯერობით არ ექვემდებარება სამართლებრივ განხილვას*, **აუცილებელია კანონმდებლობასთან შესაბამისობის და ეთიკის ადგილობრივი ოფიცრისგან ან ადგილობრივი იურიდიული დეპარტამენტისგან წინასწარი წერილობით** თანხმობის მოპოვება.[2] წინასწარი თანხმობის ყველა მოთხოვნა წერილობითი ფორმით უნდა იყოს წარდგენილი წინასწარი თანხმობის ონლაინ-ფორმის შევსებით, როგორც მითითებულია ზემოთ მოცემულ 3.0 ნაწილში.

კონსულტაციისთვის მიმართეთ კანონმდებლობასთან შესაბამისობის და ეთიკის ადგილობრივ ოფიცერს ან ადგილობრივ იურიდიულ დეპარტამენტს, დამატებითი სავალდებულო მოთხოვნებისთვის საქველმოქმედო შემოწირულობებთან, სპონსორობასა, კორპორატიულ ღონისძიებებთან და CSR-ის საქმიანობებთან დაკავშირებით, რომლებსაც სამთავრობო სტრუქტურებთან ან დაკავშირებულ სამთავრობო მოხელეებთან აქვთ შეხება.

5.0 ზუსტი ბუღალტრული აღრიცხვების წარმოება

PepsiCo-ს მოეთხოვება, რომ მისი ბუღალტრული აღრიცხვები სამართლიანად და ზუსტად ასახავდეს ნებისმიერ ტრანზაქციას, სადაც PepsiCo-ს ბიზნესი მონაწილეობს და იძლეოდეს საკმარის ინფორმაციას თითოეული ტრანსაქციის სრულყოფილი გაგების შესაძლებლობას. ოპერაციები არასდროს უნდა განხორციელდეს მენეჯერის სათანადო დადასტურების გარეშე და უნდა აღირიცხოს გამჭვირვალე ფორმით, რაც უზრუნველყოფს ზუსტი ფინანსური ანგარიშების მომზადებას. PepsiCo-სთან დაკავშირებული ყველა მხარე უნდა აკმაყოფილებდეს ბუღალტრული აღრიცხვების წარმოების მოთხოვნებს, რომლებიც შეესაბამება მათ როლებსა და პასუხისმგებლობებს.

6.0 შეტყობინება სავარაუდო დარღვევების შესახებ

PepsiCo-სთან დაკავშირებულმა ყველა მხარემ უნდა აცნობოს წინამდებარე პოლიტიკის ან ნებისმიერი მოქმედი ანტიკორუფციული კანონის სავარაუდო დარღვევების შესახებ კანონმდებლობასთან შესაბამისობისა და ეთიკის ადგილობრივ ოფიცერს ან ადგილობრივ იურიდიულ განყოფილებას. გარდა ამისა, სავარაუდო დარღვევების შესახებ შეტყობინება შეიძლება მოხდეს PepsiCo-ს აზრის დაფიქსირების ხაზის მეშვეობით. აზრის დაფიქსირების ხაზის მეშვეობით გაკეთებული შეტყობინებები შეიძლება ანონიმური იყოს იმ ქვეყნებში, სადაც კანონით

[2] თუ არ ხართ დარწმუნებული, საჭიროა თუ არა ხარჯზე წინასწარი თანხმობა, რჩევისთვის მიმართეთ ადგილობრივ C&E ოფიცერს ან ადგილობრივ იურიდიულ დეპარტამენტს ან პირდაპირ წარადგინეთ წინასწარი თანხმობისთვის მოთხოვნა.

ნებადართულია. PepsiCo-ს სამაგიეროს გადახდისგან დაცვის გლობალური პოლიტიკა კრძალავს ანგარიშსწორებას ნებისმიერი პირის მიმართ, რომელიც კეთილსინდისიერად აცნობებს იმის შესახებ, რაც მისი აზრით, წარმოადგენს გლობალური ქცევის კოდექსის, PepsiCo-ს პოლიტიკის ან კანონის დარღვევას.

7.0 პასუხისმგებლობა პოლიტიკის დარღვევისთვის

PepsiCo-ს ნებისმიერი პარტნიორი, რომელიც არღვევს წინამდებარე პოლიტიკას შეიძლება დაექვემდებაროს პასუხისმგებლობას კომპანიის მიერ განსაზღვრული წესით, სამუშაო ხელშეკრულების შეწყვეტის ჩათვლით.

8.0 პოლიტიკისგან გათავისუფლება

გამონაკლის საფუძველზე მინიჭებული ნებისმიერი გამონაკლისი წერილობით უნდა დაამტკიცოს შესაბამისმა ადგილობრივმა შესაბამისობისა და ეთიკის ოფიცერმა ან ადგილობრივმა იურიდიულმა დეპარტამენტმა და კონკრეტული გამონაკლისი ასევე წერილობით უნდა დაამტკიცოს როგორც გლობალური კანონმდებლობის დაცვის და ეთიკის უფროსმა ოფიცერმა, ასევე გლობალური კანონმდებლობის დაცვის გენერალურმა მრჩეველმა.